არდიან აჰმედაია

ალბანელთა მრავალხმიანი სიმღერის მრავალფეროვნება: ხმათა ურთიერთკავშირი *ტოსკერისა* და *მიზექეს* სიმღერებში

ალბანელთა მრავალხმიანი სიმღერის მრავალფეროვნება რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებულ მკვეთრ განსხვავებაზე. მრავალხმიანი მუსიკით განსაკუთრებით ცნობილია სამხრეთი, რომელიც ჩრდილოეთისაგან მდინარე შკუმბინით არის გამოყოფილი (იხ რუკა). მრავალხმიანი სიმღერა ჩრდილოეთის მხოლოდ რამდენიმე რეგიონში არსებობს და მისი შედარება სამხრეთულ სიმღერასთან საკმაოდ რთულია.

მეორე ფაქტორია განსხვავება ქალთა და მამაკაცთა სიმღერას შორის როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში. ასევე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მომღერალთა რაოდენობა. ძალიან ხშირად დუეტებისა და ტრიოების სიმღერები განსხვავდება გუნდური სიმღერებისაგან. გარდა ამისა, მუსიკის მრავალფეროვნებაზე გავლენას ახდენს ხმათა რაოდენობა (ორი, სამი და ოთხი). მაგალითად, აღნიშვნის ღირსია განსხვავება მრავალხმიან *ა კაპელა* სიმღერებსა და ინსტრუმენტული ანსამბლის თანხლებით შესრულებულ სიმღერებს შორის სამხრეთში. ჩვეულებრივ, ინსტრუმენტული ანსამბლი შედგება ერთი ან ორი ვიოლინოს, კლარნეტის, საზის ოჯახის სიმებიანი საკრავის *ლაჰუტესა* (*llahutë*) და პატარა დოლისაგან სახელად *დაირე* (*dajre*) ან *დეფ* (*def*). ზოგჯერ მათ ემატება აკორდეონი. სხვა ინსტრუმენტები იშვიათად გვხვდება.

გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს ხმათა შორის ურთიერთკავშირის მრავალგვარობას. მათზე ყურადღების გამახვილება საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ მათთვის დამახასიათებელი სტილური ნიშნები. ჩვენი გამოკვლევის საგანს წარმოადგენს ასეთი ურთიერთკავშირი სამხრეთის ორი რეგიონის *მიზექისა* და *ტოსკერის* სიმღერებს შორის.

მიზექე (*Myzeqe*) და *ტოსკერი* (*Toskëri*)

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით სამხრეთი გაყოფილია 4 მთავარ რეგიონად, ესენია *მიზექე (Myzeqe)*, *ტოსკერი (Toskëri)*, *ჯამერი (Camëri)* და *ლაბერი (Labëri)* (იხ. რუკა). *მიზექესა* და *ტოსკერის* მრავალხმიანობა ძალიან გავს ერთმანეთს, და აშკარად განსხვავდება *ჯამერისა* და, განსაკუთრებით, *ლაბერის* მუსიკისაგან. მაგალითად, *მიზექე* და *ტოსკერი* ორი და სამხმიანი სიმღერებით არის ცნობილი. მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე ჯგუფებად მღერიან. *ლაბერიში* ფართოდაა გავრცელებული ოთხხმიანი სიმღერები. აქ ქალთა და მამაკაცთა სიმღერა ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება. ზოგჯერ ქალი ასრულებს სოლო პარტიას მამაკაცთა გუნდში და პირიქით. გარდა ამისა, *მიზექესა* და *ტოსკერიში* ძალიან პოპულარულია მრავალხმიანი სიმღერა ანსამბლის თანხლებით, რაც საკმაოდ იშვიათია *ლაბერიში*.

მიზექესა და *ტოსკერის* მრავალხმიან სიმღერას ბევრი სხვა თავისებურებაც განასხვავებს *ლაბერის* მუსიკისაგან; მაგალითად, მათი ზოგადი თავისებურებები, განსაკუთრებით კი ხმებს შორის ურთიერთკავშირი. ასეთ ურთიერთკავშირს ვნახავთ ორხმიანი სიმღერების მუსიკალურ მაგალითებში, რაც ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ მეორე ხმას სურს დაიკავოს საკუთარი ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ხმა ყოველთვის ძლიერია, მეორე ხმა, უმეტეს შემთხვევებში, საკმაოდ გამოხატულია და არის თანაბარუფლებიანი პარტნიორი.

სამხმიან სიმღერებში, რომლებიც შეადგენენ რეპერტუარის უდიდეს ნაწილს, თითოეული ხმის პოზიცია გაცილებით მყარია. მესამე ხმა – ბანი, საშუალებას აძლევს დანარჩენ ორ ხმას, რომლებიც სრულდება სოლისტების მიერ, თავისუფლად გამოავლინონ თავისი უნარი. ამგვარად, მეორე ხმა ცდილობს შევიდეს დიალოგში პირველ ხმასთან და დროდადრო წაიყვანოს კიდეც სიმღერა. ამ თვალსაზრისით ორხმიან და სამხმიან სიმღერებს შორის გაცილებით მეტია განსხვავება, ვიდრე მსგავსება. მეორე მხრივ, ინსტრუმენტული თანხლებით შესრულებულ ორი და სამხმიანი სიმღერების ხმათა შორის მსგავსი ურთიერთკავშირი არსებობს (იხ. მაგ. 9).

სიმღერების თემატიკა განსხვავებულია: ისტორიული, საქორწილო, სატრფიალო, ლეგენდა, ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა მოვლენები და ა.შ. რეპერტუარის ნაწილს შეადგენს აგრეთვე საცეკვაო სიმღერები.

I. *მიზექესა* და *ტოსკერის* ორხმიანი *ა კაპელა* სიმღერები

მიზექესა და *ტოსკერის* ორხმიანი *ა კაპელა* სიმღერები ძირითადად ქალთა სიმღერებია. ისინი განსაკუთრებით პოპულარულია სოფლებში და სრულდება ორი ქალის, ან უფრო ხშირად, ქალთა გუნდის მიერ. გუნდური შესრულების დროს პირველ ხმას უმეტესად ასრულებს მხოლოდ ერთი სოლისტი ქალი, ხოლო მეორე ხმა სრულდება გუნდის მიერ, რომელსაც ჰყავს წამყვანი მომღერალი. იშვიათად, პირველ ხმას ასრულებს გუნდი და მეორე ხმას მხოლოდ ერთი სოლისტი ქალი. სხვა სიმღერებში თითოეული ხმა სრულდება რამდენიმე მომღერლის მიერ.

სიმღერის დროს პირველ ხმას აკისრია ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია – მას მიჰყავს სიმღერა. მეორე ხმის სუბორდინაციული როლი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ორხმიანი სიმღერების სხვადასხვა კატეგორიები.

საზოგადოდ, არსებობს სიმღერების ორი კატეგორია: სიმღერები, რომლებშიც მეორე ხმა დროდადრო მღერის პირველი ხმისაგან განსხვავებულ პარტიას და სიმღერები, რომლებშიც მეორე ხმა მკვეთრად განსხვავდება პირველი ხმისაგან. მეორე კატეგორიის სიმღერებში შეიმჩნევა პირველ და მეორე ხმებს შორის ურთიერთობის რამდენიმე ვარიანტი, რაც ნაჩვენები იქნება ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში.

მამაკაცთა ორხმიანი სიმღერები, სამხრეთის რეგიონების შუა ჩრდილოეთ ნაწილიდან *შპატი ი სიპერმიდან (Shpati i Siperm),* მდინარე *შკუმბინის* ახლოს, ცნობილია კრუტას ჩანაწერებით *(Kruta 1989:8).* ისინი აგრეთვე გვხვდება *მიზექესა* და *ტოსკერის* სხვა ადგილებშიც, თუმცა საკმაოდ იშვიათად, და მათში აშკარად შეინიშნება სამხმიანი სიმღერებისათვის დამახასიათებელი სოლისტთა ურთიერთობის გავლენა (იხ. მაგ. 6).

მამაკაცთა სიმღერებში ხმებს შორის ურთიერთობის მანერა ჰგავს ქალთა სიმღერებში ხმათა შორის ურთიერთობის მანერას. თუმცა, მათ შორის არის განსხვავებაც. მამაკაცთა სიმღერებში მელოდიას აქვს უფრო ფართო დიაპაზონი და გაცილებით მეტი ორნამენტი. აქ იმპროვიზაცია გაცილებით დიდ როლს თამაშობს, ვიდრე ქალთა სიმღერებში.

ყველა სიმღერაში, გარდა ხმათა შორის ურთიერთკავშირისა, მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს სიმღერის დასაწყისს, რომელიც განსაზღვრავს შესრულების რეგისტრსა და ტემპს. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ პირველ ხმას ეწოდება *marrës* ან *e merr* (დამწყები). მეორე ხმას სხვადასხვა სახელები აქვს. უმეტეს შემთხვევაში, მათში გვხვდება ტერმინი *e mban* (საყრდენი). ზოგ შემთხვევაში მეორე ხმა არ არის საგანგებოდ გამოხატული. ამ მოვლენას ადგილი არ

აქვს სამხმიან სიმღერებში, სადაც თითოეული ხმის როლი სპეციფიკურად არის განსაზღვრული.

I.1. პირველი კატეგორია: მეორე ხმა, როგორც პირველი ხმის "ჩრდილი"

ამ კატეგორიის თვალსაჩინო მაგალითია ქალთა საქორწინო სიმღერა რეგიონიდან *Ballsh (Mallakaster)* (იხ. მაგ. 1). პირველი ხმა სრულდება სოლისტის მიერ, ხოლო მეორე ხმა გუნდის მიერ, რომელსაც ჰყავს წამყვანი მომღერალი.

მაგალითიდან ჩანს თუ რამდენად არის დამოკიდებული მეორე ხმა პირველზე, განსაკუთრებით მესამე ტაქტის *a'*-დან მოყოლებული. აქ მეორე ხმა ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული იმაში, თუ რა მელოდიას შეასრულებს. ასეთი რამ საკმაოდ ხშირია სიმღერის დასაწყისში.

ასეთი კატეგორიის სიმღერებში მეორე ხმა წარმოადგენს პირველი ხმის „აჩრდილს". ამ თვალსაზრისით, ეს მიუთითებს ზღვარზე ერთ და ორხმიან სიმღერებს შორის. ასეა თუ ისე, ეს სიმღერები ძალიან განსხვავდება ჩრდილოეთში გავრცელებული გუნდური ჰომოფონიური სიმღერებისაგან, რომლებშიც მომღერლები წამდაუწუმ უნებლიედ „ცვლიან" მთავარ მელოდიას. *მიზექესა* და *ტოსკერის* ორხმიანი სიმღერის პირველი კატეგორიაში მომღერლები განასხვავებენ ხმებს, არქმევენ რა მათ ისეთ სახელებს, რომლებშიც ასახულია მათი როლი სიმღერაში. ჩვენს შემთხვევაში პირველ ხმას ეწოდება *e merr* (დამწყები) და მეორე ხმას – *e mban* (საყრდენი).

I.2. მეორე კატეგორია: მეორე ხმა ადასტურებს თავის დამოუკიდებლობას

მეორე კატეგორიის მთავარი ნიშანი არის მეორე ხმის ავტონომიურობა. მისი განსხვავებული ფორმები მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც მეორე ხმის ბგერით სივრცესთან, ისე მის განსხვავებულ გამოხატვასთან პირველი ხმასთან მიმართებაში.

I.2.1. მეორე ხმის „საკუთარი" ბგერითი სივრცე

ეს თავისებურება, სხვა დანარჩენთან ერთად, აშკარად არის გამოხატული მამაკაცთა სიმღერებში ელბასანის ახლოს მდებარე ადგილიდან სახელად *Shpati i Siperm* (იხ. მაგ. 2). სიმღერის ტექსტში გადმოცემულია ისტორიული მოვლენა, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა ოტომანების იმპერიისაგან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. ალბანელებმა დამოუკიდებლობის მოპოვება მხოლოდ 1912 წელს შესძლეს. ამგვარი ტექსტები დღესაც საკმაოდ გავრცელებულია.

ოქტავა *g' – g''* -ს დიაპაზონი მკაცრად არის გამიჯნული ხმებს შორის. პირველი ხმის დაიპაზონი ძირითადად არის *c''- g''*, ხოლო მეორე ხმისა კი - *g' - c''*. ორივე ხმა ერთდება ყოველი ფრაზის *a'* ბგერაზე. პირველ ხმას მიჰყავს სიმღერის ძირითადი მელოდია; მეორე ხმისათვის კი ყველაზე დამახასიათებელი მელოდიური თავისებურება არის კვარტის ნახტომი *c''- g'*, რომელიც მიდის *a'*-სკენ.

ეს თავისებურება შეიმჩნევა ქალთა სიმღერებშიც, თუმცა შეზღუდულ ბგერით სივრცეში.

I.2.2. მეორე ხმა, როგორც ბანი

სხვა ორხმიან სიმღერებში მეორე ხმა ასრულებს ბანის პარტიას. ამის ერთ-ერთი მაგალითია სამხრეთ-აღმოსავლეთ ალბანეთში, *კოლონიეს (Kolonje)* სოფელ *სტარიეში (Starje)* 1959 წელს ჩაწერილი სიმღერა (იხ. მაგ. 3). როგორც ტექ-

სტიდან ჩანს, ეს სიმღერა იყო საზაფხულო რიტუალების ნაწილი, რომლებიც პრაქტიკულად დაიკარგა 1967-1990 წლებში, როდესაც ალბანეთში კანონით აკრძალული იყო ყველანაირი რელიგიური აქტივობა და მათ შორის რიტუალებიც. 1990 წელს კანონი შეიცვალა და მას შემდეგ ალბანეთში მცხოვრები მუსლიმები, მართლმადიდებელი ქრისტიანები და კათოლიკები თავისუფლად აღნიშნავენ რელიგიურ დღესასწაულებსა და რიტუალებს.

რაც შეეხება მუსიკას, 1967-1990 წლებმა მასზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს, ვინაიდან ამ პერიოდში არანაირი სხვა მუსიკა არ შექმნილა. პირიქით, ის შენარჩუნდა სხვა შინაარსის მქონე, როგორც საქორწინო და ყოფით, ისე პოლიტიკური მოვლენების ამსახველ სიმღერებში. ეს მუსიკალური ტრადიცია ყველა სტილის მუსიკაში შეიმჩნევა.

ამ სიმღერის ყველა პარტიას ასრულებს ქალთა გუნდი. მეორე ხმის „ქცევა" განსაკუთრებით უცნაურია. ბანი ხან რიტმული მანერით იმღერება, ხან კი შეკავებულად. ერთი მანერიდან მეორეზე გადასვლა მჭიდროდ არის დაკავშირებული ნამღერ ტექსტთან. პირველ 8 ტაქტში ტექსტის პირველი კუპლეტი სრულდება ორჯერ 4+4 სქემით. პირველ 4 ტაქტში ბანი რიტმულია, ხოლო მომდევნო 4 ტაქტში კი – შეკავებული. ამის შემდგომ ტექსტის კუპლეტები იმღერება 1-2, 2-3 და ა.შ სქემით და თითოეული მათგანის ხანგრძლივობა 4 ტაქტს შეადგენს. რაც შეეხება ბანს, მისი სქემა არის 2 (შეკავებული) + 2 (რიტმული) ტაქტი, და გამოკვეთილია ყოველი ნამღერი კუპლეტის მეორე ნაწილი.. ამის გათვალისწინებით, ბანი არის არა მხოლოდ ფუნდამენტი, არამედ ის ემსახურება შესრულების გახალისებას.

სამხმიანი სიმღერებისათვის დამახასიათებელი ბანის ტონალობის მისაღწევად საკმაოდ გავრცელებული ხერხია სიმღერის დაწყება *d'-e'* კომბინაციით (ამ შემთხვევაში *e'*). ერთი მხრივ, ეს არის სწორი სიმაღლის მიღწევის მცდელობა, რომელზედაც უნდა აიგოს სიმღერის მთელი მუსიკა, და მეორე მხრივ, კადანსების საკმაოდ ლამაზი საფეხური, და არა მარტო მრავალხმიან სიმღერებში.

I.2.3. პირველი ხმაზე მაღალი მეორე ხმა

მეორე ხმისათვის პირველი ხმისაგან ავტონომიის მოპოვების კიდევ ერთი საშუალებაა მისი პირველ ხმაზე უფრო მაღლა მღერა, რასაც ნათლად გვიჩვენებს მომდევნო ნიმუში (იხ. მაგ. 4). ეს სიმღერა არის პოგრადეცის *(Pogradec)* სოფელ *რადოკალიდან (Radokal),* რომელიც მდებარეობს *ოჰრიდის (Ohrid)* ტბის ახლოს. ამ ტბას ალბანეთში *პოგრადეცის* ტბასაც უწოდებენ. სიმღერაში მეორე ხმას სოლისტი ასრულებს.

ამ სიმღერის თითოეული ხმის ბგერით სივრცეზე საუბრისას უნდა გამოვყოთ ორი თავისებურება: 1 – პირველი ხმის ბგერითი სივრცე *(d'-g')* უფრო დაბალია, ვიდრე მეორე ხმისა *(e'-b').* 2 – მაშინ, როდესაც მეორე ხმა მღერის *g'*-ს, რომელიც ეკუთვნის ორივე ხმის ბგერით სივრცეს, პირველი ხმა მღერის *e'*-ს. ამგვარად, პირველი ხმა რჩება უკან. უფრო მეტიც, მეორე ხმა ადის *e'*-ზე მაშინ, როდესაც პირველი ხმა უკვე იქაა. ყოველივე ეს ხაზს უსვამს მეორე ხმის განსაკუთრებულ როლს ამ სიმღერაში.

ასევე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ როდის უნდა აჰყვეს გუნდი სოლისტს. ამ კითხვის პასუხი დამოკიდებულია შესრულების სიტუაციაზე. მაგრამ, საზოგადოდ, გუნდი ჰყვება სოლისტს "რაც შეიძლება მალე". ჩანაწერიდან ჩანს, რომ გუნდი "შედის" მაშინ როდესაც სოლისტი გადადის მესამე ბგერაზე *(e'),* ან ზოგჯერ ცოტა უფრო ადრე. ამ მომენტის უპირატესობა არის ის, რომ სოლისტის მეორე და მესამე ბგერა ერთი და იგივეა. გარდა ამისა, ეს ბგერა არის

სიმღერის მთავარი საყრდენი. ამიტომაც, გუნდისათვის ეს ძალიან მოხერხებული მომენტია რომ შეუერთდეს სიმღერას.

1.2.4 ხმები როლებს ცვლიან

მიზექესა და *ტოსკერის* რამდენიმე ორხმიან სიმღერაში ხმები როლებსაც კი ცვლიან. ამის ნიმუშია რამადან სოკოლის (*Ramadan Sokoli)* მიერ ჩაწერილი სიმღერა (იხ. მაგ. 5). ქალთა ეს სიმღერა *ბერატის (Berati) სულოვედან (Sulovë)* არის საზაფხულო რიტუალის ნაწილი.

ამ სიმღერაში ორი ხმის მონაცვლეობა გვაგონებს ორი სოლისტის მონაცვლეობას *ტოსკერისა* და *მიზექეს* სამხმიან სიმღერებში, სადაც სოლისტებს ერთმანეთის მიყოლებით მიჰყავთ სიმღერა გუნდის ბანის ფონზე. მოცემულ შემთხვევაში ბანის პარტიას არ ასრულებს გუნდი და ამიტომ თითოეული ხმა ცდილობს იმღეროს ბანი მაშინ, როდესაც მეორეს მიჰყავს მელოდია. ამ თვალსაზრისით, მეორე ხმა პირველი ხმის თანასწორი პარტნიორია. ასეთ შემთხვევებში დიდ დახმარებას გვიწევს სამხმიანი სიმღერების გავლენა.

ამ გავლენას გაცილებით უფრო აშკარად გვიჩვენებს მომდევნო ნიმუში (იხ. მაგ. 6) *პოგრადეცის ტრებინიედან (Trebinje).* ეს სიმღერა ჩაწერილი იქნა კომუნისტი ლიდერის ენვერ ხოჯას გარდაცვალების შემდეგ (11 აპრილი, 1985წ.) და მასვე ეძღვნება. სიმღერას ასრულებს ორი მამაკაცი.

სამხმიანი სიმღერის გავლენა აქ აშკარად შეიმჩნევა, განსაკუთრებით მეორე ხმის ქცევაში. უფრო მაღალ ბგერაზე ასვლისა და უფრო მეტი ორნამენტის შექმნის მცდელობა გაცილებით აგრძელებს მუსიკალურ ფრაზას. იგივენაირად იქცევა მეორე სოლისტი *ტოსკერისა* და *მიზექეს* ბევრ სამხმიან სიმღერაში.

საინტერესოა ისიც, რომ მეორე ხმა შედის მაშინ, როდესაც პირველი ხმა იწყებს ბანის პარტიის შესრულებას და გაბმულად მღერის, რითიც მყარ ფონს უქმნის მეორე ხმის პარტიას.

II. *მიზექესა* და *ტოსკერის* სამხმიანი *ა კაპელა* სიმღერები

მიზექესა და *ტოსკერის* დიდ უმრავლესობას, როგორც მამაკაცთა ისე ქალთა რეპერტუარში, სწორედ ასეთი სიმღერები შეადგენენ. ჩვეულებრივ ისინი სრულდება ორი სოლისტისა (პირველი და მეორე ხმა) და სულ მცირე სამკაციანი ჯგუფის მიერ, რომელიც ასრულებს ბანის პარტიას (მესამე ხმა). ბანი გაბმულია მთელი ტექსტის განმავლობაში, როგორც წესი [e] ბგერაზე. სოლისტები ხშირად "მართავენ" დიალოგს მიჰყავთ რა სიმღერა მონაცვლეობით, რაც მათ შორის "შეჯიბრის" შთაბეჭდილებას ქმნის. არსებობს დიალოგის რამდენიმე ვარიანტი იმის გათვალისწინებით, თუ რა როლი ეკისრება მეორე ხმას. მეორე ხმა თავისი საკუთარი „იდეებით" ავსებს, ხან კი ავითარებს პირველი ხმის დაწყებულ სიმღერას. ზოგ სიმღერაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმიტაცია, ზოგ სიმღერაში კი – არა. ასეა თუ ისე, ჩვენი ანალიზისათვის საინტერესოა სიმღერის დროს ორი სოლისტის როლების მონაცვლეობა. სწორედ ამას აქვს ადგილი როგორც „თავისუფალ რიტმიან", ისე განსაზღვრულ რიტმიან სიმღერებში.

მიზექესა და *ტოსკერის* სამხმიან *ა კაპელა* სიმღერებში აგრეთვე გვხვდება ხმათა ურთიერთობის კიდევ ერთი მანერა, კერძოდ ორი სოლისტის თითქმის პარალელური მოძრაობა. ეს თავისებურება ახასიათებს ქალთა სიმღერების მცირე ნაწილსა და მამაკაცთა მხოლოდ რამდენიმე სიმღერას.

გარდა სიმღერების სხვადასხვა მუსიკალური თავისებურებებისა, თითოეულ ხმას აქვს საკუთარი სახელი, რაც ხაზს უსვამს მის როლს სიმღერაში. პირველი

ხმა *marrësi* ანუ დამწყები; მეორე ხმა *pritësi* ანუ ის, რომელიც აწყვეტინებს სიმღერას.; *kthyesi* ანუ ის, რომელიც უკან აბრუნებს ან *e mban* ანუ სიმღერის საყრდენი. ამ ტერმინით ძირითადად ბანს აღნიშნავენ. მას ასევე მოიხსენებენ როგორც *mban iso* ანუ მას ეყრდნობა *iso*. *Iso* არის ბერძნულ-ბიზანტიური საეკლესიო მუსიკის ტერმინი. აღსანიშნავია, რომ მაკედონიის ალბანელებმა *ოჰრიდის* ტბისა და *პრესპას* ზოგიერთ სოფლებში იციან ტერმინი *iso* მხოლოდ ალბანეთის ალბანელებისგან. ალბანელებისგან განსხვავებით, მაკედონიელი ალბანელები თავის მრავალხმიან სიმღერებს უწოდებენ არა *këngë me iso*-ს, როგორც ალბანეთის სხვადასხვა რაიონებში, არამედ *këngë me të mbajtur*-ს ანუ სიმღერებს საყრდენით.

ბანის აღმნიშვნელი სხვა ტერმინია *mbajnë kaba* ანუ შეაკავო ან გააბა *kaba*. ალბანელები თურქული სიტყვით *kaba* (ანუ მძიმე) ბანის გარდა აღნიშნავენ ინსტრუმენტულ იმპროვიზაციებს (იხ. Ahmedaja/Reinhard 2003:180-181), რომელსაც ასრულებს ზემოხსენებული ანსამბლი კლარნეტის, ვიოლინოს, სიმებიანი *(llautë)* და დასარტყამი *(dajre* ან *def)* ინსტრუმენტების შემადგენლობით.

II.1. სოლისტების დიალოგი

სატრფიალო სიმღერა *ბერატის (Berat)* ახლოს მდებარე სოფელ *რეჰოვედან (Rehovë)* არის ორ სოლისტს შორის გაბმული დიალოგის ნიმუში *მიზექესა* და *ტოსკერის* სამხმიან სიმღერაში (იხ. მაგ. 7). აქ გაშიფრული ვარიანტი შესრულდა 1978 წლის ფოლკლორულ ფესტივალზე.

ორ სოლისტს შორის დიალოგი იწყება მას შემდეგ, რაც პირველი სოლისტი ჩაამთავრებს მთელს კუპლეტს. როდესაც პირველი ხმა მივა ბურდონამდე, დიალოგს იწყებს და ავრცობს მეორე ხმა. სოლისტების ასეთი მონაცვლეობა გრძელდება სიმღერის დასკვნით ნაწილამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკალური და ტექსტუალური გავრცობა მიმდინარეობს ერთდროულად, რაც მიზექესა და ტოსკერის მრავალხმიანი სიმღერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა. ამ მოვლენის ნათელი სურათის შესაქმნელად, ქვემოთ იხილეთ პირველი კუპლეტის ნამღერი ტექსტი. მუქი შრიფტით ნაჩვენებია სიმღერის ტექსტი.

1 პარტია *E po* **ne-rë-** **-nxë** *j"o* *moj* **të** *e* *o* **të pa-ta** **th**ë - ... *o ho*
2 პარტია *o* **të pa-ta** **thë-ne** *e*

1 პარტია *moj-i* **ne** – *je* ... *uo po* **ne-rë** – *i* - **-nx**ë *jo* *moj* **të** *uo*
2 პარტია *E* **-rë-nxë**

1 პარტია **të pa**-... *ë* *e* *ho o* *ho ho ho ho* *ho ho ho* **ne -** **nxë** *e*
2 პარტია *o* **të pa-ta** **thë-ne** *je* **e-rë-nxë** *e*

ამ ტექსტში მოცემული სიტყვიერი ფრაგმენტები, მნიშვნელობის არმქონე შეძახილები და გამეორებები საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში პირველი სოლისტი მღერის სიტყვის ერთ მარცვალს, ხოლო მეორე სოლისტი იმავე სიტყვის მომდევნო მარცვალს ან მარცვლებს. ამ სიმღერაში სწორედ ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი ზემოთ მოყვანილი ტექსტის მეორე ხაზზე: პირველი ხმა ***ne -*** მეორე ხმა ცოტა მოგვიანებით – ***rëë – nxëë*** (მწარე ფორთოხალო).

II.2 სოლისტების თითქმის პარალელური მოძრაობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი სიმღერები ძალიან ცოტაა და ძირითადად გვხვდება ქალთა რეპერტუარში. *მიზექეს ფიერის (Fier)* სოფელ *გრეკალში (Grecalli)* ჩაწერილი სიმღერა (იხ. მაგ. 8) მოგვითხრობს 1913-1915 წლებში მომხდარ ნამდვილ ამბავს (Shituni, Daje, Pano 1986:347, სქოლიო 2).

ეს არის მონოლოგი დედისა, რომელიც დასტირის თავის გარდაცვლილ ვაჟს. ამიტომ სიმღერის ტექსტი ძალიან გავს ზარის ტექსტს, ხოლო მისი შესრულების მანერა კი – გლოვის წეს-ჩვეულებას. სიმღერა სრულდება მხოლოდ ერთი პირველი ხმის მიერ ისევე, როგორც ტირილი სრულდება ერთი ქალის მიერ, რაც ტიპური შემთხვევაა ალბანელებისათვის. მეორე და მესამე (ბურდონი) ხმები მღერიან მხოლოდ მისამღერს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიმღერაში ხმეორე ხმას ორი მომღერალი ასრულებს, რაც იშვიათი გამონაკლისია. მეორე ხმა *hedhës* ითარგმნება როგორც „ის ვინც ისვრის“, რაც ასევე არ არის დამახასიათებელი ამ რეგიონისათვის, თუმცა გავრცელებულია *ლაბერიში*.

ორ სოლისტს შორის ურთიერთობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა როგორიცაა პარალელური ტერციები *f – a'* და ა' – ც''. ეს ტერციები, ბურდონის *g'*-სთან ერთად, სიმღერის ზოგად ჟღერადობას განსაკუთრებულ ელფერს სძენს.

III. მრავალხმიანი სიმღერები ინსტრუმენტული ანსამბლის თანხლებით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, *მიზექესა* და *ტოსკერის* სიმღერების ნაწილი სრულდება კლარნეტის, ვიოლინოს, ლაჰუტესა *(llahutë)* და დაირეს *(dajre)* ან დეფის *(def)* თანხლებით. ამ ინსტრუმენტებს ზოგჯერ აკორდეონიც ემატება.

ამ სიმღერებში შეიძლება ბურდონის მღერაც, თუმცა არ არის საჭირო, ვინაიდან მის ადგილს ინსტრუმენტები იკავებენ. ამ თვალსაზრისით, ზღვარი ორ და სამხმიან სიმღერებს შორის იშლება. ორ სოლისტს შორის ურთიერთობაც განსხვავებულია *ა კაპელა* სიმღერებისაგან აქ სოლისტები არ „ეჯიბრებიან“ ერთმანეთს, თუ ვინ იქნება წამყვანი. პირიქით, როცა ერთს ხმას მიჰყავს სიმღერა, სხვები „ეშველებიან“.

სიმღერა იწყება ინსტრუმენტული შესავლით. ვოკალურ პარტიებს შორის შუალედში სრულდება ინტერლუდია. როგორც შესავალი, ისე ინტერლუდია ვოკალური მელოდიის აბსოლუტურად იდენტურია. ინსტრუმენტალისტები მამაკაცები არიან. ისინი საჭიროების შემთხვევაში ბანს აძლევენ სოლისტს. სოლო პარტიები შესაძლოა შეასრულოს ორმა ქალმა, ორმა მამაკაცმა ან ერთმა ქალმა და ერთმა მამაკაცმა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში ხმების სახელები დაკარგულია.

შემდეგი მაგალითი ერთ-ერთი ასეთი სიმღერაა, რომელსაც ორი ქალი ასრულებს (იხ. მაგ. 9). ამ სიმღერას ახლავს ინსტრუმენტული თანხლება ორი (ზოგ შემთხვევაში სამი) კლარნეტის, ფლეიტის (ალბანურად *fyell*), ლაუტესა და აკორდეონის შემადგენლობით. ინსტრუმენტებს შორის არ არის დოლი. როგორც ანსამბლის ფუნქცია, ისე მომღერლებს შორის დამოკიდებულება უცვლელია მიუხედავად იმისა, რომ ეს შესრულება განსხვავდება ჩვეულებრივი შესრულებისაგან. ორივე სოლისტი თავისუფალია თავისი პარტიის შესრულებაში, განსხვავებით იმ სიმღერებისაგან, სადაც პირველი ხმა ლიდერია, ხოლო მეორე ეხმარება მას. უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ სიმღერაშიც პირველი ხმა ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ ეს ერთგვარად დამალულია, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მეორე ხმა იწყებს თავის პარტიას. მეორე

სოლისტი ყოველთვის იმავე მელოდიას ასრულებს, რასაც პირველი, და ამით მუსიკალური რეფრენის ხასიათს ანიჭებს თავის პარტიას. პირველი ხმა „უფლებას აძლევს“ მეორეს თავის თავზე აიღოს ლიდერის ფუნქცია პირველ ფრაზაში (ტაქტი 3 – 8) მისი საკუთარი სოლოს დაწყების შემდეგ (ტაქტი 1 - 2). მეორე ფრაზაში (ტაქტი 11) პირველი სოლისტს ისევ მიყავს სიმღერა, როდესაც მეორე ხმა „შედის“, მხოლოდ ამის შემდეგ (ტაქტი 12) პირველი ხმა „უფლებას აძლევს“ მეორეს გახდეს ლიდერი. პირველი სოლისტის ასეთი „ქცევა“ ხაზს უსვამს ამ სიმღერაში მის „ძალაუფლებას“.

რაც შეეხება ინსტრუმენტულ ანსამბლს, პირველ ნაწილს ასრულებს კლარნეტი, ხოლო მეორეს (ამ შემთხვევაში ეს უნდა ყოფილიყი ვიოლინო) – ფლეიტა, რაც იმის მაგალითია, თუ როგორ „ემორჩილებიან უცხო საკრავები“ სიმღერის მუსიკალურ კონსტრუქციას.

სხვათა შორის, ასეთი სიმღერების მუსიკალური სურათი ყოველთვის ასეთი არ იყო. XIX საუკუნის ბოლოდან, როდესაც ამ მუსიკაში შემოვიდა ინსტრუმენტები, შეიმჩნევა ინფილტრაციის სხვადასხვა საფეხური. ინსტრუმენტებს მოუხდათ სიმღერის მელოდიასა და მის კონსტრუქციაზე მორგება, ხოლო მომღერლებს დასჭირდათ ანსამბლის აკომპანემენტის ქვეშ მღერის სწავლა. XX საუკუნის პირველი ნახევრის ჩანაწერებში ინსტრუმენტული აკომპანემენტი გაცილებით შეზღუდულია. ეს მოვლენა დღესაც სახეზეა სამხრეთ ალბანეთში, განსაკუთრებით, იმ შემთხვევებში, როდესაც მუსიკოსები იმავდროულად მომღერლებიც არიან. ერთი მათგანი ყოველთვის კლარნეტზე უკრავს.

თავის მხრივ, ვოკალისტი სოლისტებიც მიეჩვივნენ არა მარტო ერთმანეთთან, არამედ სხვებთან ურთიერთობასაც, რაც მათი სიმღერის მანერასაც დაეტყო. *ა კაპელა* სიმღერებში ხმები, ჩვეულებრივ, უხეშია, ანსამბლის აკომპანემეტით შესასრულებელ სიმღერებში კი არა. ასეთ დროს მამაკაცთა ხმებიც კი თითქმის ნაზ, დახვეწილ ჟღერადობას იძენს.

დღევანდელი ცვლილებები გაცილებით შორსაც კი მიდის. ერთ-ერთი ასეთი ტენდენციაა კლარნეტის დომინირება და ინსტრუმენტულ ანსამბლში მის მიერ მეორე პარტიის სრული ჩანაცვლება (იხ. Ahmedaja, 2002). მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც კი, ყოველთვის რჩება ორი ვოკალისტი (პირველი და მეორე ხმა), რაც ადასტურებს ალბანეთში მრავალხმიანი სიმღერის ფენომენის არსებობას.

თარგმნა მაია კაჭკაჭიშვილმა

ARDIAN AHMEDAJA

ON THE DIVERSITY OF MULTIPART SINGING AMONG THE ALBANIANS: THE RELATIONSHIP BETWEEN THE PARTS IN THE SONGS OF *TOSKËRI* AND *MYZEQE*

The diversity of multipart singing among the Albanians depends on several factors. One of them is the division between North and South and their subdivisions. The most well known area of polyphonic music is the South. The river *Shkumbin* serves as a "boundary" to the North (see the map). Multipart singing exists only in a few areas in the North and is very different compared with that of the South.

The other factor of the diversity is the division between the singing of women and men, both in the North and in the South. The number of singers is also an important aspect. Very often songs by two or three performers are different from those by groups. Additionally the number of parts (two, three, and four) also influences the diversity of this music. The difference between multipart "a cappella" songs and those accompanied by an instrumental ensemble is to be underlined, especially for the South Albanian traditions. The ensemble is usually composed of a violin, a clarinet, a string instrument of the saz-family named *llahutë* and a small drum named *dajre* or *def*. Each instrument can be doubled up or an accordion can join the ensemble. Other instruments are rarely encountered.

Of great importance as well are the various forms of relationship between the parts. Focusing on them among other considerations helps very much to distinguish characteristic styles. This kind of relationship among the songs in *Myzeqe* and *Toskëri*, two Southern regions, will be the object of the following examinations.

Myzeqe and *Toskëri*

The South is divided into four main regions from an ethnographic point of view: *Myzeqe*, *Toskëri*, *Çamëri* and *Labëri* (see the map). *Myzeqe* and *Toskëri* are very similar regarding multipart singing. Compared to *Çamëri* and especially to *Labëri* the differences are quite evident. So for example *Myzeqe* and *Toskëri* are well known for their two- and three-part singing. Women and men sing in separate groups. In *Labëri* four-part songs are widespread. The women"s and men"s singing are not very different from each other, and sometimes a woman may sing a solo part in a men"s group and vice versa. In addition, multipart songs with an ensemble accompaniment are very well known, especially in *Myzeqe* and *Toskëri*. In *Labëri* they are very rare.

The multipart singing in *Myzeqe* and *Toskëri* shows other differences from that in *Labëri* as well. But as in the following analysis only multipart songs of *Myzeqe* and *Toskëri* are considered, some other general characteristics are to be pointed out at this point, especially those connected with the particularities of the relationship between the parts. As a matter of fact this is a field where the diversity of the multipart singing in these regions can be easily seen. As it will be shown through several examples, the two-part songs demonstrate this in numerous ways. The main reason seems to be the willingness of the second part to occupy its own position. For that it has developed various strategies. Although the first part always has the leading role, the second is in most cases very profiled and an equal partner.

Among the three part songs, which make the greater part of the repertoire, the position of every part is much more fixed. The third part, the drone, gives the two others (each

played by a soloist) the necessary liberty to unfold their "capability". So, for example, the second part tries to make a dialogue with the first and even to lead the song every now and then. From this point of view two- and three-part songs have many more differences than similarities. On the other hand, the relationships between the parts among two- and three-part songs with ensemble accompaniment are quite similar (see ex. 9).

As far as the song subjects are concerned they are very different. History and legend, love and weddings, various events of everyday life and many more have their place in these songs. Dance songs are a part of the repertoire as well.

I. Two-part "a cappella" songs in *Myzeqe* and *Toskëri*

The two part "a cappella" songs in *Myzeqe* and *Toskëri* are primarily women's songs. They are known especially in the rural areas and are performed by two women or - much more frequently - by a group. In the latter case the first part is sung mostly by a woman alone and the second by the group, which has a leader. Rarely is the first part sung by the group and the second by a woman alone. In other songs each part is performed by several singers.

Aside from the casting, the first part has the most important role in the song, leading it. On the other hand, the variety of the subordinate role of the second one makes it possible to distinguish different categories among the two-part songs.

Generally speaking there are two categories to be classified: songs in which the second part now and then sings something different from the first one and those in which the second part is very different from the first one. Among the songs of the second category several kinds of relationship between two parts can be observed, as it will be shown through some examples.

Two-part men's songs are known after Kruta only in *Shpati i Sipërm* (Kruta 1989: 8), which is placed in the Middle North of the Southern Regions near the river *Shkumbin*. In fact they can be found also in other places of *Myzeqe* and *Toskëri*, although very rarely and mostly affected by the relationship of the soloists in the three-part songs (see ex. 6).

The types of relationship between the parts in the men's songs are similar to those of the women's songs. On the other hand differences can be noticed, which signify in general men's or women's singing. The melodies in the men's songs as a rule have a larger range and are performed with many more ornaments. Also the improvisation usually plays a much greater role than in the women's songs.

Apart of the relationship between the parts, the beginning in all songs plays an important role. It defines the pitch and the tempo of the performance. It is not surprising that the first part is called "*marrës*" or "*e merr*" (*takes it up*). The second one has different names. Most of them contain the term "*e mban*" (*supports it*). In some cases there is no special expression for the second part. That cannot happen among the three-part songs. The role of every part in them is particularly determined.

I.1. First category: The second part as a "shadow" of the first one

One of the examples of this category is the following women's wedding song from *Ballsh* in *Mallakastër* (ex. 1). The first part is sung by a soloist and the second by a group with a leader.

The musical transcription helps to observe how much the second part depends on the first, especially from the *a'* of the third bar onwards, since there the second part is still uncertain about the melody that has to be sung, as happens in many other cases at the beginning of the performance.

The second part in the songs of this category remains a "shadow" of the first one. From this point of view they seem to imply the limit between one- and two-part singing. Anyway, there is a big difference between these songs and performances of homophonic group songs known in the North, during which unintentional "changes" of the main melody from single singers can be heard every now and then. In the case of the first category of two-part songs in *Myzeqe* and *Toskëri* the singers differentiate the parts, giving them proper names in respect of their role in the song, showing they have no doubt about the multipartite nature of these songs. In our case the first part is called "*e merr*" (*takes it up*) and the second one "*e mban*" (*supports it*). For the second part "*B. Aliaj me shoqe*" is noticed, which is the name of the group leader B. Aliaj *with friends*.

I.2. Second category: the second part claims its independence

The main feature of the second category is the autonomy of the second part. Its different shapes are closely connected with the sound space the second part preserves for itself as well as its differentiated profile in relation to the first one.

I.2.1. The second part claims its "own" sound space

This feature is very evident among others in the following men's song from *Shpati i Sipërm* near *Elbasan* (ex. 2). The text is about an historical event that would have taken place during the efforts to gain independence from the Ottoman Empire at the end of the 19th and the beginning of the 20th century. The Albanians could proclaim their independence only in 1912. Texts of this kind are still very common today.

The range of the octave *g' – g''* is very strict divided between the parts. That of the first part is primarily *c''-g''* and that of the second one is *g'-c''*. Both of them meet together at the end of every phrase on *a'*. The first part leads the song singing the main melody. For the second one the fourth jump *c''-g'* that leads to *a'* is the most characteristic melodic feature.

These characteristics can be observed in women songs as well, although in more limited sound space.

